

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგეტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи редакціи газетъ „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

ღილი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოაგრულოთ, სტრიქონზე — 8 კაპ., ციფროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტითი — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა და ლუბეკდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

შიიღებამთელიწადში, — გაზეთის რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში — „დროების“ აგენტებთან. ფასი ოთხი თვის გაზეთისა ფ. 1 მკენისთეილამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ — 3 მანეთი. მთელი წლის ნომრები მხოლოდ რამდენიმე დარჩენილი, — ღირს — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა — 1 მან.

დღესასწაულის გამო გასულ ოთხშაბათს „დროება“ არ გამოდის.

საქართველო

ოტაშას

ანგელოზები არ ცხოვრებენ ჯერ ამ ჩვენ ცოდვილ დედა-მამაზედ, რომ ყველ-ფერი წყნარად, შეუშფოთებულად და თანხმობით მიდიოდეს; ყოველ კაცს, რომელიც კი მოქმედებს, რომელსაც გულში რაიმე გრძობა აქვს და თავში — აზრი, ყოველ კაცს, რომელიც, ერთის სიტყვით, ცოცხალია და ცხოვრებს, უეჭველია, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ბევრი ისეთი პირები, რომელნიც ამ კაცის არც საქმეს თანაუგრძობენ, არც გრძობასა და არც აზრებს. გაზეთს ამისთანა მოწინააღმდეგე-

ნი, ამისთანა პირები, რომელნიც იმის ჰაზრებს არ ეთანხმებიან, რასაკვირველია, კიდევ უფრო მომეტებული უნდა ჰყვანდეს, იმიტომ რომ კერძო კაცმა შეიძლება თავის ჰაზრი და მოქმედება არ გამოააშკარავოს საზოგადოთ და ამის გამო იმას არც მოწინააღმდეგენი, უთანხმო პირნი გამოუჩნდებიან, და გაზეთის ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი კი აშკარაა, საქმეებზედ გამოცხადებულია. მაგონი, რომელსაც მოწინააღმდეგე არა ჰყავს, რომელიც არაფერს არ სძულს, რომლის ჰაზრებსა და მიმართულებას ყველა ეთანხმება, ის გაზეთი ან მკედარსაზოგადოებაში უნდა გამოდიოდეს და ან თვითონ უნდა იყოს მკედარი.

რა კაცია ის კაცი, რომელიც ყველას მოსწონს? რომლისაც ყველა ეძაყოფილია?

რა გაზეთია ის გაზეთი, რომელსაც მოწინააღმდეგე არა ჰყავს? რა გაზეთია ის გაზეთი, რომლის ჰაზრები და მიმართულება ყველას მოსწონს, ღირსა და პატარას, გლეხსა და ბატონს, ერის-კაცსა და ბერს?

მადლობა ღმერთს, ამ მხრით ჩვენს გაზეთს უკმაყოფილების გამოცხადება არ შეუძლიან, რადგან მეგობრები, თანამოაზრენი და თანამგრძობნი თუ ჰყავს, მომეტებული თუ არა, ერთი იმდენი მაინც მტერიც ჰყავს და უკმაყოფილონი.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ

ეს უკმაყოფილება და სამღურავე ჩვენს გაზეთზე აშკარად არცხადდება: ჩუროჩულით, საიდუმლოდ, თავის გულში ამბობენ, რომ გაზეთის ესა და ეს ჰაზრი, მოქმედება ან მიმართულება არ მოგვწონსო. ათს წელიწადზე მეტია, რაც „დროება“ გამოდის და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთი „მნათობი“ იყო, რომელიც აშკარად და ერთობ ფიცხლად აცხადებდა თავის უკმაყოფილებას „დროებაზე“. მაგრამ ეს უკმაყოფილება ისეთი წერილია, ისეთი პირადი, ისეთი უშნო და ხანდისხან ისეთი სადაგელი იყო, რომ გონიერული უკმაყოფილობის, კრიტიკისა და საქმის ცოდნის ნატამალიც არ აჩნდა; ეს უფრო იმ გაბრაზებულ დედაკაცის გულის მოყვანასა და ჯაფრს გვანდა, რომელიც თავის მეზობელს ლანძღავს და თათხავს მხოლოდ იმიტისთვის, რომ რატომ იმას აცვია ახალი კაბა და მე კი არაო!

როცა უფ. მაჭახელიამ კრძალით განაცხადა სურვილი „დროებაზე“ მოლაპარაკებისა, ჩვენ ღიღის სიამოვნებით იმწავსვე დავეთანხმეთ; დავეთანხმეთ იმიტომ რომ ვიცოდით, იმას არავითარი პირადი ანგარიშები არა აქვს არც „დროებასთან“ და არც ამ გაზეთის „სულის ჩამდგმელებთან“, იმიტომ კიდევ დავეთანხმეთ, რომ ვფიქრობდით: ეს ახალ-

გაზეთი მწერალია, ცოცხალი, ცხოვრებისაგან ჯერ გაურყენელი ტვინი და აზრები აქვს, შეიძლება ისეთი რამე გვითხრას, რომელიც გაზეთისათვის გამოსადეგი იქნება, შეიძლება ისეთი რამე წაკლულეგანება შენიშნოს გაზეთის მიმართულებაში, რომლის გასწორება სარგებლობას მოგვითხრას ჩვენ — გაზეთის მოღვაწეებსაც და თვით ჩვენს მკითხველებსაც. მფიქრობდით: დეე, გამოთქვას რაც ჰურს და როგორც ჰსურს; თუ კარგათ, გონიერი რაიმე სიტყვა ხო კარგი, ხო გამოგვადგება, და თუ არა, და ჩვენ ამით მაინც არა დაგვაკლდება რა, რადგან უპართლო შეწყამებას, შეუსაბამო დარიგებასა და განკიცხვას ჩვენ აინუშნია არ ჩავგდებთ, რადგან ამის პასუხის გაცემა და გაქარწყლება ადვილია-მეთქი.

ჩვენ მივიღეთ დაპირებული სტატია („დროებაში“ „დროებასზე“). მივიღეთ, წაიკითხეთ, მაგრამ, საუბედუროთ, რასაც მოველოდით, ვერ ვიპოვეთ. ნაცვლად გაზეთზე მოლაპარაკებისა, ნაცვლად იმ ბევრი ნაკლულეგანებისა ჩვენებისა, რომელსაც ასე მხნედ დაგვიპირდა უ. მაჭახელიამ, ნაცვლად სხვა და სხვა შეცდომილი ჰაზრების მხილებისა და ჩვენი მიმართულების გასწორებისა, — ნაცვლად ყველა ამისა ჩვენ წაიკითხეთ დიდი, გრძელი, უშვე-

მწერლობა

ქართული ანდაზები

ღილი ხანია, რაც ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდებისათვის სიტყვები: „ხალხი“, „ხალხობრობა“, „სახალხო“ და სხვანი, ამგვარივე ხასიათის მქონე რამეები, პირ-და-პირ ხელ-სახვევად და სიტყვის მასალებად გარდაიქმნენ. იმათ შორისდამ მოუკრავთ ყური და თუთიყუშ-გვარად იციან, თუ რამდენი ძალა, ძლიერება, სიმართლე და განმარტოებელი მასალები იხატებიან ამ სიტყვებში; მაგრამ იმას კი ვეღარ მიმხედარან თავის თავად: თუ ვინ არის ხალხი? და რას ჰქვია ხალხობა?

როცა იშვიათი, უჩვეულო რამ მოვლინებაა აღვლევდეს, აღძრავს ხალხს კარგის ან ცუდის მხრით, აბეჭდავს მის ცხოვრებას და ზედ დასდებს კვალს, მაშინ ის მოვლინება, ანუ შემთხვევა საისტორიოდ უნდება იმ ხალხს. ამ გვარად: ერთი ვინმე მიგნებული თაამედროვეთაგანი ხელოვნურად გამოაჩინა იმ მოვლინებას ან შიშობ-წყობით, ან ზღაპარ-სიტყვაობით და ან ლეგენდურ-მოთხრობით; დანაშაულები დაინახენ იმ სურათში მათს გულის პასუხს, ბანს აძლიერენ, და ხდიან იმ სურათს „ხელის-

ხელ საგომანებლად“, გადასცემენ საშვილი-შვილოდ განძად და, ამგვარად ღმერთს დაგმავად დასუთლი ანბავი, ხან-მსვლელობით, ეფენება იმ ქვეყნის ტომის ყოველ კუთხეს, სადაც კი ის ტომი სცხოვრებს, რომლის საკუთრებასაც ის ანბავი შეადგენს.

როგორც მთის წვერიდამ დაგორებული პ. ტარა თოვლის გუნდი რამდენიც მეტს დაეშვება ძირისაკენ, იმდენად უფრო იზდება, ისე ეს სახალხო ანბავი, რაც უფრო შორს გადადიან ღმერთს-ღმებაზედ, უფრო და უფრო ვრცელდებიან და შალაშინდებიან კედევაც, სანამ ბოლოს არ ჯდებიან თავიანთ სრულს და საკმაო კალაპოტში.

რადგანც ეს ვრცელი მოთხრობები საზებრო არიან და ძნელად ერთიანთ ერთისაგან დასამახსოვრებელი, ამისათვის ისინი ირღვევიან ხშირად და აქა-იქ, სხვა და სხვა კუთხეებში ნაწყვეტ-ნაწყვეტებათ ინახენ თავს. ამას გარდა, რადგანაც ხშირად ერთსა და იმავე ქვეყანას სხვა და სხვა კუთხეები აქვს, მაგალითად საქართველოს, სადაც იმერეთი და ქართლი განსხვავებულნი არიან ერთმანერთთან, — ის მოთხრობებიც ფერს იცვლიან და იმ ადგილის ან იმ კუთხის გავლენის ქვეშ სხვა და სხვა ადგილობრივი ხასიათს მიიღებენ ხოლ-

მე, — თუმცა შინაარსი და დედაბოძი ჰაზრი ყოველთვის თითქმის ერთი და იგივე რჩება. მაშინც ჰსურს, რომ ამ გვარი ისტორიის ნამდვილი მასალები შეაგროვოს და ბოლოს ერთიანთ დაუბეჭდოს ხალხს, იმან უნდა დაკვირვებთა და სიფრთხილით შეჭკრიბოს ეს გაფანტული ზეპირ-სიტყვაობითი საისტორიო ანბავი, გაარჩიოს, აასხას ერთს მაგარ ძეგლად ამგვარად აადგინოს მთელ-მთელი მოთხრობები. ამასთან, რადგან ერთსა და იმავე ნაწყვეტს, როგორც შემოთა ესთქვით, სხვა და სხვა მაზრებში სხვა და სხვა ხასიათი და ფერი აქვს, მაგრამ ორივეს შემთხვევაში კი ხარაქტერისტიკული, უნდა ის ნაწყვეტებიც ვარიანტებათ მოიყვანოს. აგრეთვე თუ ახალი სახალხო თხზულებაც მისთანაა, რომ უნდა იყოს, რომ ხალხმა თავის ცხოვრების სარკე დაინახოს, იმ თხზულებაში იცნოს მისი ჭირი და ღონი, თორემ უიმისოთ არ მიიღებს.


ახლა ვაგვიჩვენოთ: ის ახალგაზრდები, ანუ უკეთ ესთქვათ ის ვაჭაბოვნები, რომელნიც ამ სტატიის დასაწყისში მოვიხსენიეთ, ასე ირჯებიან თუ არა? არა: ისინი მივიღენ სოფელში სადმე, შეხედვენ ერთს ვისმეს სოფელს, რომელსაც სახლიდამ ფენი არ გამოუდგამს და არ იცის — თუ რა ამბავია ქვეყნიერებაზედ, და

მაშინვე მოჰყვებიან სჯას მის შესახებ ამ გვარად:

„ამ კაცს შინიდამ ფენი არ გამოუდგამს, არ იცის ქვეყანაზედ რა ამბავია, უცხო ქვეყნის ან უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ არ იქნება! მაშასადამე ეს არის ხალხის ნამდვილი შვილი და ამ გვარ კაცებს ჰქვია ან ხალხი! და რადგანაც ეს ქვეყანა, მაშ რასაც ეს იტყვის, ყოლიფერი სახალხო იქნება.“

სტატებენ ხელს, მოისვენ გვერდით და უნდა თუ არა, აზოდებენ იმ უბედურს: ხან ზღაპრებს ათქმევიანებენ, ხან შეიგრებს, ხან ანბავს, რომლის ნიჭი ეგება არც კი ჰქონდეს იმ საწყალს და სიზმარიით ჩარჩენოდეს ყურში. ბოლოს ჩასწერენ დაეთარში მის ნაროტანს და ბეჭდვენ, როგორც სახალხო სამნიშვნელო რამეს!..

ამ გვართვე შეხედებიან მთრეალ კინტოს და ჰფიქრობენ: „ქართული ღვინო უყვარს ამას, მითი თერება, აი ეს არის ნამდვილი მამულის შვილი!“ და რასაც კი ის ღოთი იტყვის, ის ნამდვილი ხალხის სიტყვა ჰგონიანთ. მაგალითად, გაზეთქილი კინტო იძახის, სხვათა შორის: „დამისხით, ჰოი, შენი კი ჭირიმე!“ მოჰყვრენ თუ არა ყურს მე დაეთერე ვაჭაბოვნები ამ სიტყვებს, ჰფიქრობენ: „მა! ე რა კარგათ სიტყვა! რა ქართული გრძობა იხატება ამ სიტყვებში!“



მალაქში გვიჩვენებს აქედან; დღით
სით კიდევ ჰო, მაგრამ ღამე კი ისე ცივა,
რომ თბილ საბანში უნდა გაეხვიო.

შორაპნის მასობრივ მივიღეთ შემ-
დგვი წიგნი, რომელზედაც მივაქ-
ცივეთ იმ უწყების ყურადღებას, ვი-
საც ეს ყველაზე უფრო შეეხება:

ამ თვის 5-ს ერთი საქორა საქ-
მისათვის მივიღოდი ს. საწაბლეს.
შევიხედე მახლობლად გზისა, ერთი
სასულიერო პირისა და ბანაკებულან
ტოპოგრაფები. პირის ერთი მუზიკის
კურა და თამაში, სხვათა შორის, აქ
იყო ერთი აფიცერი; როგორც შე-
ეიტყვე, ეს აფიცერი იყო ტოპოგრაფი
დ. შევლანი ისე დაშფოვალნი იყუ-
ნენ, რომ ვინ ვის ეხვეოდა, გავი-
ბა არ ჰქონდათ.

სახლის პატრონი, მთავარ-ლიაკ-
ვანი, ს—ლი, ცოლ-შვილით და
მოხუცებული მშობლებით ხეს ქვეშ
იყვნენ ატირებული. შემომიცივი-
დნენ სახლში ეს ხალხი და ჩემი
სახლიდამ გამაგდეს!

ბოლოს დაწერილებით მიამბეს
ყოველივე: თურმე ეს ტოპოგრაფი
სოფ. ლილიკურში ყოფილა. აქ
რომ გაეთავებია პლანების აღება,
სოფ. ბოსლევს გადმოსულა, სადაც
ძალიან დაეღია. იქიდან პირ-და-
პირ ს. საწაბლეს მთავარ ლიაკვის
ს—ლის სახლში შემომლოლია ერ-
თი მღვდელი.

ლიაკვანი ამ დროს საწირავად
ყოფილა ეკვლესიაზე. პატრონის მო-
სვლამდინვე შეცვიენილიყვნენ სახ-
ლში და ყოველისფერი გარეთ გა-
მოეყარათ. დაფთვებული და ატირე-
ბული ოჯახობა ლიაკვისა გარეთ
ეყარნენ, სანამ ბინას იშოვნიდნენ.

ლიაკვანიც მოვიდა. შევიდა თუ
არა ეზოში, შეხედა ამ უბედურებას,
თავს ხარი დაეცა თურმე ჯავრით,
ასე რომ ერთ ხანზე ენაც ვეღარ
ამოედგა...

ღღეს მერვე ღღეა, რაც ტოპო-
გრაფის სახლში ქვიფობენ და დროე-
ბას ატარებენ.

ქელდება. აბა ერთი ბრძანონ: თუ კი
გაიხა, რაღა გაასქელებს?

3) ასე გავიდა მარტო, არ მა-
მიკლა ციკვის ბარტყიო.

(მეცხვარემ დაიქადა: მარტმა ჯაბრზე
სამი ღღე ისესხა აპრილისაგან. მეცხვარემ
გულში კატა ჩასვა და ქერში ჩამოკვიდა:
სამი ღღე ცხვრებს კატის ყურებაში და
ბღაველში ჰამა დაეიწყდათ, მარტმა ვერა-
ფერი დააკლო.)

რაო? რაო? ამოდენი სისულელის
მოხერხება ამ ცოტა სიტყვეში,
ქვემარტათ, რომ მართლა საანდა-
ზოა. „სიკვის ბარტყი“ რა არის? მი-
კანი ანუ ციკანი ნიშნავს თხის შვილს
ბარტყი ახალ გამოჩეკილს ჩატს და
განა თიკანს ჩიტი ჰყოლია?

ამას გარდა კიდევ: მეცხვარემ კა-
ტა ჩასვა გულში, ქერში ჩამოკვიდა და
სამი ღღე ცხვრებს კატის ყურებაში
და ბღაველში ჰამა დაეიწყდათ? მს
რაღა სისულელეა?! კატა თუ გულდა-
ში იყო, ცხვრები როგორღა ხედაე-
დნენ? და ან კატა განა ბღაველს? ამას
გარდა, რა დამოკიდებულება აქვსთ
ცხვრებს კატასთან, რომ თვითონ ეე-
ლარ მოაშორეს სამს ღღეს და ჰამაც
დაეიწყდათ? და აღარც შესცივდათ?!
მაგვები რომ ყოფილიყვნენ, კიდევ
ჰო, იტყვის კაცი. პატრის ხამა ისე შეა-
შინათ, რომ სიტყვი მისცა თავებს
და მადაც დაეყარგათ; თორემ კატა
და ცხვრები! სად მიეკლევო და სად

შეიძლება ამისთანა პირების ხე-
განაც იყვნენ... ამისთანა უწყის
მოქმედებას უნდა უყურებდეს და
იტყვდეს წესს ადგილობრივი მთა-
რობა.

უსხო ქვეყნები

ოკმის ამბავი, როგორც მორი-
გება (რეა დღით), რომელიც განსა-
კუთრებით ინგლისს მეცადინეობის
შემწევობით იყო სერბიელებსა და
მ. მალებს შუა, ამ თვის 13-ს გა-
თავდა და ახლა, როგორც ამ ღღე-
ებში მოსული დეპუტე გეცნობებს,
სერბიის ჯარის სარდალს, დენერალ
ჩერნიაცივს განკარგულება მოუხდენია,
რომ ბრძოლა ხელახლად დაიწყოს.

მაგრამ საბოლოოთ მორიგებაზე
ლაპარაკი ჯერ კიდევ არ დაწყარე-
ბულია; ამბობენ, რომ იტალიას, ინ-
გლისს, რუსეთს, ბერმანასა და სა-
ფრანგეთს შემდეგი პარობა ერთხმად
წარუდგენიათ: სერბია და ჩერ-
ნოგორია იმავე მდგომარეობაში უნ-
დადარჩეს, როგორც იმის დაწ-
ყვამდინ იყვნენ, ბოსნიას, ბოლ-
გარფასა და ბერცოგოვინას კი მს-
მალეთისაგან დამოუკიდებლობა უნდა
მიენიჭოს.

ბერს ლაპარაკობენ ამ ქამად
აგრეთვე იმზე, რომ ჩერნიაცივის
ხელქვეითი არმიამ სერბიის მთავარი
სერბიის კოროლად გამოაცხადა და
სერბია საკოროლოდ. ჰზრნი ამ გა-
მოცხადებისა, როგორც იწერებან,
ის იყო, რომ მსმალეთისთვის და
მთელის ქვეყნისთვის ეჩვენებინათ,
რომ სერბიის ხალხს სრული თავი-
სუფლებიან და მსმალეთისაგან და-
მოუკიდებლობის შოპოგება ჰსურს,
და არამცა და არამც არ დათანხმდე-
ბიან იმ მორიგების პირობებზე, რო-

მეო! სწორეთ ისეა.—მს ანდაზა ისე
როგორც დაუბეჭდათ, ხალხის უფ-
ნურებას ხატავს და არა ქუთას. მ გ-
რამ საქმე იმაშია, რომ ვინც ანდაზა
სულ სხვებ შრის: მთავარ პოეტს კი

„ისე გაქრა მარტი მურტო,
მერ მომიკლა ვატის ვნუტიო!“

ღიჩქმა დედა-ბერმა და ჯიბრზედ
რომ მარტმა სამი ღღე აპრილისაგან
ისესხა, კნუტი გულში ჩასვა და სამ
ღღე ობლად ჰყავდა...

4) ბატონმა სქეა, მუხს ვაშ-
ლი ასხიო და შენ დაიჯერეო. რო-
გორ თუ დაიჯერეო? ბატონის სისუ-
ლელეზედ შენც, უთუოდ გაუგნურ-
დიო? მს ანდაზა ასე უნდა: ბატონ-
მა რომ ბძანოს, მუხს ვაშლი ასხიო,
შენც დაეთანხმეო. ამით მხატვმა
ძლიერის ჟინი დასუსტას ანუ ხელო-
ქვეითის შეცთობა, თუ ბასი დაუწ-
ყო, რადგან არა გამოგარბ წყვილის
მეტი და ბატონი მაინც თავისას არ
მოიშლის.

5) მთვის ქება თავის ტეხაო.
უნდა იყოს: მთვის ქებაო, თავის
გდებო.

6) ლიტრას ეუბნებოდნ და კო-
კე, შენ გესმოდნო. უნდა იყოს:
„მთლს ლანძღავენ და რძალს კი ას-
მენდნო.“

7) პოქლი ქოთანს ლოკდო,
გადაბრუნდა და მოკვდაო. მს ან-
დაზა კი აღარ გვესმის, რა უნდა იყოს.

მელსაც მსმალეთი თხოულობს და
რომელიც სერბიას ამცირებს.

პოლიტიკოსებს ეს მილანის კო-
როლად გამოცხადება ვერაფრად ექა-
შნიკად, თვით სერბიის ხალხსაც არ
მოეწონა ეს სალდათების გარეგვ
პოლიტიკურს საქმეებში. მილანიც
არ დათანხმებულა ამ ტიტლოს მიღე-
ბაზე, მაგრამ სკუპშინის მუდმივ
კამისიას უთხოვნია იმისათვის,
რომ ეს ხარისხი მიიღოს.

სამღვდლო მკობის ძრება ქუთაისს

დებუტატებმა ყოველად სამღვდე-
ლოსთან მიგზავნეს რამოდენიმე
მღვდელი და სთხოვეს მ. ლამაში-
ძის დაბარება და თუ ეს არ ასრულ-
დაო, იმ შემთხვევაში, განუცხადეს
ისინი არაფრის დაქვის მსჯელობას
არ შეუდგებიან. შოვლად სამღვდე-
ლომ ტელეგრაფით დაიბარა მთუთის
ში მ. ლამაშიძე თან ახმად დებუტატ-
ების თხოვნისა. ამ დღეს თავი დაა-
ნებეს ყველაფერ. მსჯელობას დებუ-
ტატებმა.— ბევრი ურჩია მღვდელმა
ბიგუროვმა კრებას თავს-მჯდომა-
რედ აღერჩიათ ერთი ვილაკა მღვდე-
ლი სპირიდონ ჯუღელი და ამის ნა-
ცვლად სპირიდონ ჯუღელი ურჩე-
და დებუტატებს თავს-მჯდომარედ
აღერჩიათ მამა ბიგუროვი, მაგრამ
არც ერთმა დებუტატმა არც ერთ
მათგანის სიტყვას ყური არ ათხოვა.
მესამე დღეს მოვიდა ლამაშიძეც.
მხლა შეიქმნა თავს-მჯდომარის აღ-
მორჩევაზე ლაპარაკი. ამ დროს წესს
იტყვდა მღვდელი ბასილ მუთათელა-
ძე, დებუტატებმა შორის თავს-მჯდო-
მარედ დებუტატებმა არც ერთი მღე-
დელი არ ისურვეს. თავის სურვი-
ლით თავს-მჯდომარედ ყოფნა განა-
ცხადეს მღვდლებმა რაჟდენ ბიგაუ-

8) შერისთათ ქორწილი არ იქ-
ნებოა. პრც ეს გვესმის.

9) ტერტრამ უღელი გადაადგო
და კურდღელი მოკლა. უნდა იყოს:
„ბრძამ“ და არა ტერტრამ, თორემ
რაღა გასაკვირველი იქნებოდა?

10) შრია და მისი შვილი ორი-
ვე ღმერთმა დაშამათა. მს ასე უნ-
და: „შრია და მისი შფათა, ორივე
ღმერთმა დაშამათა.“

11) სუდათ ჯდომას, ცუდათ
შრომა სჯობსო. მს რა უთქვამთ!
სუდათ ჯდომას ცუდათ შრომა
სჯობიაო: მაგალითად კაცის მოკ-
ვლა? მს ანდაზა რათ გადაუბრუ-
ნებიათ: „სუდათ შრომას ცუდათ
ჯდომა სჯობიაო.“ ასეა ეს ნათქვა-
მი და ჰაზრიც სულ სხვა აქვს.

12) შიასაც რომ ფეხს დაადგამ,
ისიც ხმას ამოიღებსო. მართალი
ბრძნებაა! სულ ვაი, დედას იძახებს,
თქვენის აზრით? ჩიენ რომ ანდაზა
გაგვიგონია, იმასში გიკბენსო.
არა და არა ხმას ამოიღებსო.

ამას გარდა კიდევ სხვა ანდაზებიც,
მაგალითად ამგვარები: „პრ გაიკთხ-
ვენ გოგონა ტირილითა და ვიშითა.“
„ბღეხი კაცი რომ ცხენზედ შეჯდ-
ება, ღმერთი დაეიწყება.“ „ბღეხი-
კაცის ქეუა თვალშია და არა თავში.“
„ბღეხის- შვილი იზრდებოდა, ვირ-
დებოდა.“ „დედაკაცის თმა გრძელია,
ქეუა მოკლე.“ „თავადი მვილი—

როგმა, სპირიდონ ჯუღელი და სუ-
კა ბახტაძემ. ბოლოს კანდიდატების
რიცხვში მ. რ. ბიგუროვი აღარ ჩაე-
წერა, რადგან მის სამღვდლოები
ცხადათ არ სურვობდნ. შევლა დე-
ბუტატებმა სთხოვეს მ. ლამაშიძეს
თავს-მჯდომარეობაზედ კენჭის ყრა,
მან ამანდელ უთხრა მათ შემდეგი სიტყვა:

„მამანო დებუტატო! მე ძლიერ
გმადლობთ თქვენ იმ რწმუნებისათ-
ვის, რომელსაც ყოველ ყრილობა-
ზე მიცხადებთ; მაგრამ გთხოვთ მორ-
ჩილად განმათავისუფლოთ ამ თანამ-
დებობისაგან, რადგან ზოგიერთი აქა-
ური სამღვდლოები სულ სხვა ჩაი-
რად მიყურებენ მე მას აქეთ, რაც
თქვენ სასწავლებლის ყრილობაებ-
ზედ თავს-მჯდომარედ ამირჩიეთ ხო-
ლმე.“

ამაზე რამდენიმე დებუტატებმა
განაცხადეს: იმერეთის სამღვდლოე-
ბისაგან აღრჩეულნი დებუტატები
აქა ვართ ყველანი და ჩვენ სხვას
არაფის ვიცნობთ. ჩვენ ყველანი ერთ-
ხმად გთხოვთ მიიღოთ თავს-მჯდო-
მარეობა ამ ყრილობაზედაც. მ. ლა-
მაშიძემ ბოლოს დებუტატების თხო-
ვნაზე დათანხმდა.

ქუარეს კენჭი. დებუტატები სულ
ორმოცდახუთი იყო. მ. ლამაშიძეს
მარტო სამი კენჭი მოუფინდა შაქი. მ.
ბახტაძე ძლიერ გააშავეს. მ. სპირი-
დონ ჯუღელმა, ბახტაძის მიხედ-
ველმა, კენჭის ყრაში ჩასულაზედ
ბოლოს უარი განაცხადა. საქმის
მწარმოებლად კენჭის ყრით იყო არ-
ჩეული მ. ბ. აბზიანიძე. მ. ბიგაუ-
როვმა განაცხადება შეიტანა ყოველად
სამღვდლოსთან, რომ ლამაშიძე
თავს-მჯდომარედ არ დაემტკიცებიათ
და მ. ჯუღელმაც თავისი ჰაზრი, მაგ-
რამ ორივეს ჰაზრები გაუქმდა.


თავს-მჯდომარის დამტკიცების
შემდეგ, 19 აგვისტოს ნაშუადღევს
ოფის საათზე შეიკრიბნენ დებუტატე-
ბი სასწავლებლის შესაკრებელ ოთახ-

ორი ბათმანი ტილიო. „იმერელს
უთქვამს ცოლსაც არაფის დაუქვრ,
თუ ჩემსავით იხმარებნო.“ „იმერე-
ლმა ცხვარი იყიდა და მალ-მალ ღუ-
მას უხინჯავდა: თხა არ იყოსო“ და
სხვანი.

მართი მძბანონ მედაეთრებმა, ესები
განა სახალხო ანდაზებია და ამისთა-
ნა რამეები უნდა იბეჭდებოდნ და
განმათ ეძლიერდეს ხალხს! შ. გამომ-
ცემელს თუ ესები სახალხო ანდა-
ზათ მიჩნია, მამ ესეც სახალხო ან-
დაზა უნდა იყოს: „სულელს გინე-
ბა ანდაზა ეგონა!“

პი ამგვარად მშენიერი და მახ-
ვალ გონიერული ანდაზები ისე გაუ-
ფუჭებიათ გამომცემლებს, რომ მხო-
ლოდ უგნურებას ახატებენ. სულ
რომ ბევრიც ვეძიოთ, ამ წიგნში
ორმოცს ხეირიან ანდაზას ვერ ვი-
პოვით. მართ-ორი კი გვიჩინია და
იმით მოვიგონებთ გამომცემლებს:
„არა შეჯდა წყერი ხესა, არ ჩეულა
გვარი მისიო“ და „რაც არ ექნას მამა
შენსა, ნურც შენ დახეე მარამშებსა.“

დასასრულ, ვიცი მეტყვიან, რომ
არაობას ესა სჯობსო, მაგრამ ჩვენ
თანახმა არ ვახლავართ: უმჯობესია
მასალა ისევე მასალათ დარჩეს, ვიდ-
რე უცოდინარის ხელში გაფუჭდეს
და აღარც მასალათ ივარგოს და აღარც
რამე ნაშენათ.



ში. ამ დროს მოზრძანდა ყოველად სამღვდლო და მისცა წინადადება სამღვდლოებს მეორე ოთხ კლასიან სასწავლებლის გახსნაზე; მეხუთე კლასის სასწავლებელთან გახსნაზედ ზედამხედველის პროექტისამებრ. ამასთან ამხილა დეპუტატებს და მათი პირით ყველა სამღვდლოებს, რომ მისი ბრძანება ლოცვების სწავლის მოთხოვნის შესახებ გვირგვინის მაკურთხეველ მოსურნეთა პირთაგან ბოროტად მოხმარებულა. მგრეთვე ამხილა მათი პირით სამღვდლოებს ცუდად მოქცევა ბლალაჩინების კენჭით აღრჩევის დროს. მისცა სხვა და სხვა დარიგება დეპუტატებს და შინ წაბრძანდა.

ყოველად სამღვდლო წაბრძანდა თუ არა შინ, თავს-მჯდომარემ გამოუტყდა ყრილობას ყველა საგნები, რაზედაც მათ უნდა ჰქონოდათ მსჯელობა და სთხოვა მათზე მოლაპარაკების დაწყება.

მართა დეპუტატმა იქ მყოფს სასწავლებლის სამმართველოს წევრს მ. ანტონ ბლანჩიადეს ჰქითხა სასწავლებლის გარემოების ამბის გაგება რომლის მოთხოვნაზე ყველა თანახმა გახდნენ. მ. ა. ბლანჩიადემ სთქვა, რომ „მე რაც შევნიშნე სასწავლებელში და რაც უწყსოება დაინახე, ყოველიფერი ავსწერე და ყოველად სამღვდლოს მოვახსენე და არა თუ მე მარტო, სხვებიც ასე მოიქცნენ. მე იმდენი უწყსოება დაინახე აქ, რომ არ შემძლია დედგე ამ თანამდებობაზე. ყოველად სამღვდლომ რეზოლიუცია დასდვა ჩვენ შეტანილ განცხადებაზედ: ყრილობას მიეცეს წინადადება, რომ ამით მაგორად სხვები აღირჩიონ. მე გთხოვთ განმათავისუფლოთ ამ თანამდებობისაგან. მე ვასაკიცხავთ არა ვარ აქ დანიშნული, რომ კაცებმა და ქალებმა ნიადაგ მიეცხონ...“ ამ დროს შემოვიდა უ. სასწავლებლის ზედამხედველი მან. ასათიანი და თავს-მჯდომარეს სთხოვა ორიოდ სიტყვის თქმის ნება, რომელმანც კიდევაც მისცა.

— „მე როგორც ვხედავო, სთქვა იმან, თქვენ შემდურით. ბევრს რამეს ამბობენ ჩემზე; მაგრამ მე გთხოვთ,

რომ სიტყვით ნურავის დაუჯერებთ, თუ საქმით და ქალღმერთ არ დავიმტკიცოთ. ბევრი რამე ითქმება, მაგრამ ყველა მართალი არ არის ხოლმე. სხვა არაფერი არა იყოს რა, მე რომ ცუდად მოვიქცე, აქ რომ აესცილდე სასჯელს, საიქ-ოს როგორღა გაგცეთ პასუხი თქვენ. ყოველიფერი ჩემი სიმართლე და სიმტყუნე აი ამ ქალღმერთ არის აწერილი, (უჩვენა თავს-მჯდომარის წინ დიდგმულს სტოლზე დადებულს ქალღმერთ) და წააკითხინეთ ეს თავს-მჯდომარეს და ყოველისფერს გაიგებთ მაშინ.“

ამ სიტყვებზე ყველა დეპუტატები თანახმა გახდნენ და სთხოვეს თავს-მჯდომარეს ამ ქალღმერთს წაკითხვა. თავს-მჯდომარემ ამ ქალღმერთს წაკითხვაზე უარი განუცხადა დეპუტატებს და სთხოვა სხვა საგნებზე მოლაპარაკება. მაგრამ ყველა დეპუტატებმა და განსაკუთრებით ზედამხედველმა კიდევ სთხოვეს თავს-მჯდომარეს მიეცა ნება დეპუტატებისთვის ამ ქალღმერთს წაკითხვის. თავს-მჯდომარემ უარი უთხრა მეორეთაც; ზედამხედველმა კიდევ უთხრა დეპუტატებს, თუ გინდათ ყოველისფერის სიმართლის გაგება, მოსმინეთ ის ქალღმერთი და დაათარგმინეთ ვისმე და წაკითხეთ და მაშინ შეიტყობთ ბრუნდს და მართალსო. ამხედ თავს-მჯდომარემ ზედამხედველს უთხრა: „მე სწორეთ არ მინდოდა ეს ქალღმერთ წაკითხათ დეპუტატებს, რადგან ჩვენს პირ-და-პირ საქმეს არ შეეხებოდა, მაგრამ თქვენ რადგან მაინც და მაინც გსურსთ ამ ქალღმერთს წაკითხვა, სხვა საგანზე დღეს მსჯელობა მაინც აღარ შეიძლება და თქვენინება არის.“

(დასასრული შემდეგ №-ში)

განსხვავებანი

ქარგს, პატრიარხის ოჯახში მიიღებიან შამაშვილები მდგმურად ანუ პურის-მკამლებად. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდგევის ადრესით: პატარა ტალახის ქუჩაზე, სალდათის ბაზრის მახლობლად; ბებუროვის სახლში № 19.

(1-1)

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უშარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს აღამიანის ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახლოგაზდა აღამიანის კანს დაამგავსებს.

ძანს ეკრება და არა სჩანს.

შ. შ. ა. ი. — გა მ ო მ გ ო ნ ი

pommade satin
(ატლასის კრედა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელების კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156-62

ლეღა ენა

ანუ ანბანი და პირველი საპითხავი წიგნი სახალხო მკოლებსათვის, შედგენილი ი. მოგებაშვილისაგან, გამოვიდა სტამბიდგან და ისეილება პარტო კამისონური სოლოონ მართანოვის მალაზიაში.

წიგნი ჩართულია მრავალი ურათები, სივრცე აქვს რეაბაბი და ღირს ექვსი შაუნი. მაგრამ სასწავლებლებს, რომლებიც იყიდიან ერთათნაღდ ფულზედ ოც-და-ათს, აქ მომეტებულ ვგზეპლიარსა და კერძო პირებს, რომლებიც ერთათ წაიღებენ ასს, ან მოქეტებულ ვგზეპლიარსა, დათომობათ ვგზეპლიარს ხუთ შაურათა. იმავე მალაზიაში ისეილება ყოველ-გვარი ქართული, რუსული და სომხური ახგომძღვანლოები. (3-3)

ამერიკის

კბილის ექიმი

დოქტორი ი. ა. ვალტერი

რომელიც მუდამ მოსკოვში სცხოვრებს

მოვიდა თფილისში და მიიღებს აეთამყოფებს (პაციენტებს) ხელოვნებითი კბილების ჩასაყენებლად უპრუქნოთ, რადგან პრუქნა საქმლის დეკას უშლის, როცა საქმელი პრუქნასა და ყბას შუა ჩაყარდება; ამისგან მო მე არაფის არ უჩრჩე, რომ პრუქნისანი კბილები ჩისივან, არამედ გაიკეთონ ჩემგან ახალად გამოგონილის სისტემით—რბილის ბოლოთი.

არ უჩრჩე ვგრეთვე კაციან კბილების ჩყენებასა, რადგან ამით მთელი კბილებიც ფუქვებანი.

მურჩევე ყველას, რომ კბილებს ნუ ამოიძრობენ, რადგან ეს ყბის ძეაღს აფუქვებს; როცა კბილმა გაფუქვება დაიწყოს, ოქროსა ანუ პლატინის პლომბით უნდა გაიკეთოთ, რომელიც ინახავს და არ აფუქვებს კბილს.

მაქვს ახალი, ახლად—გამოგონილი საშუალება კბილების დასაცველად და აგრეთვე ვიცი წამალი, რაც უნდა ძალიან სტიკოვდეს ვისმე კბილები; ეს წამლები განუხილავს მედაცინის დეპარტამენტს. ახალ მოგონილ ხელოვნებითი კბილებისა და პლომბის მინუშები მსურველს შეუძლია ჩემთან ნახოს.

ხელოვნებით კბილების მუშაობა 24 საათში თავდება. პაციენტებს მივიღებ ჩემს სახლში: სასახლის ქუჩაზე, სარაჯევის სახლებში, ბუღლას მალაზიის ზემოდად.

ღარიბებს მუშაობად ვარჩენ ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 8 საათიდან დილისე 10-მდინ.

(2-2)

რ.პ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.		III კ.		საქმის გვერდი	ფოტო	ბირჟა	გაზანდა	
	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.	მ.	წ.				მ.	წ.
თფილისი	9	36	4	54					ა) შოთილამ მიღის:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 7 სექტ.	მთილისი, 15 სექტ.	
მცხეთა					68	38			მდისიკენ — შაბათს დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, მუთათის, რუსეთს	მართი მანეთი ღირს:		
ბორი	12	21	8	41	2	40	1	23	სტამბოლს — კვირაობით, დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ.	ლონდონში 3 1/2 პენსი.	1	
ხაშური	2		11	10	3	92	2	18	ბ) მდისიკენ:	ოთხშ., მსურველს — პარასკ და	პარიჟში 3 3 1/2 სანტიმი.	2	
ბეჟთუბანი					4	42	2	46	შოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და	სკონტი(სარგებლისფასი)	3	
შვირილა					5	81	3	23	სტამბოლს — ოთხშაბათს, შუა დღეზე	შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	4	
მთიანისი	8	23			6	75	3	75	შოთილამ: I II III	თფილისისა და შოთისკენ — ყო-	მოგვიანი(პირველისფასი)	5	
სამტრედი					7	73	4	29	სოხუმამდი . 4	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	მოგვიანი (მეორე სესხი)	6	
ან-სენაკი					8	57	4	76	მერამდი . 20	ველ და პარასკ. ზუღდის	ბირაოს ფურცლები:	7	
შოთი	11	44			9	75	5	42	ტაგანროგ. 34	— ოთხშაბ.	თფილ. სახან. ბანკისა.	8	
შოთი	8	40							მდისამდი. 38	გ) ბო რი დამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	9	
ან-სენაკი			1	18		66				ჟველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%)	10	
სამტრედი			2	61		14			ბ) შოთი დამ:	გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზოგ.	11	
მთიანისი	11	51			3	41	69		შოთი დამ:	ჟველგან ყოველ დღე, კვი-	შაქციები:	12	
შვირილა					3	98	21		შოთისს, შოთს	რას გარდა.	მდისის სავაჭრო ბანკის	13	
ბეჟთუბანი					5	33	2		ბორს, ღუშეთს, სიღნახს		შოთი-თფილ. რკინ. გზის	14	
ხაშური	5	41	1	6	5	84	3		როსტოვს მდისას მოსკოვს		შავიზღვის ცეცხ. გემების	15	
ბორი	7	23	3	6	7	36	4		პეტერბურგს, პარაშვას		ქავკაზის და მერკურის	16	
მცხეთა					9	85	4		მსხალეთში, შვეიცარიაში		პირგ. საზღვევ. საზოგ.	17	
თფილისი	10	16	7	24	9	75	5		ჩტალიაში და საფრანგეთში.		პეტერბ. საზღვევ. საზ.	18	
									ინგლისში.		მოსკოვის საზღვევ. საზ.	19	